36

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი, 1918 წ. ივნისის 1 № 99

წლიწადი მეორე

შაბათი, 1918 წ. ივნისის 1 № 99

ფ ა ს ი 20 კ ა პ.

# ჩვენი ქვეყანა

რ ე დ ა ქ ც ი ა.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი** № 76.

მწუხარებასა შინა მყოფნი მშობლები ვასილი პეტრეს ძე კუპრაშვილი და მეუღლე მისი ბარბალე დიმიტრის ასული, ძენი და ასულნი მათი, პეტრე, ნოე და მავრა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ტრაღიკულად გარდაცვალებას პირველნი ძვირფასი ვაჟისა, მეორენი მოყვარული ძმისა

## ვასილი ვასილის ძე კუპრაშვილისას.

უმორჩილესად გთხოვთ რათა პატივი სცეთ და დაესწროთ ყმაწვილის გამოსვენებას ივნისის 2 (20 მაისი ძვ. სტ.), დღით კვირას, ნაშუადღევის ოთხ საათზე, ძველი პოლიციის ქუჩა, ამაღლების ეკლესიის მახლობლათ საკუთარ სახლში. 3—1

მაისის 19, (ძველი სტილით) შაბათს, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გარდაცვალებიდან ორი წლის შესრულების გამო, გარდახდილ იქნება პანაშვიდი ტრაღიკულათ გარდაცვლილ ხაშურის გიმნაზიის მასწავლებლის

## მიხეილ (გუია) პიმენის ძის რატიანის

სულის მოსახსენებლად რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გულ დათუთქულნი მამიდა ელისაბედი ლადუასი რატიანის ასული შვილებით ოლია, ანნა და აგნესა (ტულია). პანაშვიდი დაიწყება საღამოს 6 საათზე. 1—1

თავადი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე და ძე მისი ჯუმბერი ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 30-ს ამა მაისის, ს. ოფიშკვითში ხანგრძლივი მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი მეუღლე პირველისა და დედა მეორესი კნეინა

## მარიამ ირაკლი ლორთქიფანიძის ასული.

დასაფლავება მოხდება ოფიშკვითის წმიდა გიორგის ეკლესიის გალავანში. 1—1

## ქუთაისის და პროვინციის ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა **უკანასკნელათ** აფრთხილებს ხელის მომწერთ, რომელნც **ივნისის** 7 (ქუთაისისთვის) და **ივნისის** 10 (პროვინციისთვის) არ შემოიტანს ხვედრ ფულს, შეეწყვიტებათ გაზეთის გზავნა.

## ქართველ ქალთა ჯგუფი

ხსნის საზაფხულო კლუბში (ივანოვის ქუჩა, სახლი ბ. გაბუნიასი)

## სასადილოს,

რათა ხელმისაწდომ ფასებში მიაწოდოს სუფთათ და წმინდათ გაკეთებული სადილები მსურველებს, როდესაც მრავალი ლტოლვილი და ბევრი ოჯახი ამ უზომო გაჭირვების დროს ხშირათ სანოვაგეს ვერ შოულობენ. სადილი მსურველთ სახლშიდაც გაეგზავნებათ. ყველაფერი სანოვაგე ახალი და უეჭველათ ერბოზე გაკეთებული იქნება. რადგანაც სასადილოს არა აქვს კომმერციული გამორჩენითი ხასიათი, წმინდა შემოსავალი რაც დარჩება, გადადებული იქნება მიმდინარე ომში დაჭრილთა და მომკვდარი ოჯახების სასარგებლოთ. ჩაწერა შეიძლება საზაფხულო კლუბის შენობაში და როდესაც ჩაეწერება არა ნაკლებ ასი კაცისა, სასადილო გაიხსნება. სადილი მიეცემა ნაშუადღევს 1—5 საათამდე. 3—2—6.

## საჭიროა გაზეთის დამტარებელი

საჭიროა სერიოზული და დარბაისელი კაცი. პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში დილის 9—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათ.

## ლტოლვილთა საყურადღებოთ.

ამ წლის 28 მაისიდან ქუთაისში დაარსდა

## ვალმოხვეწილთა (ლტოლვილი)

## ს ა გ უ ბ ე რ ნ ი ო  კ ო მ ი ტ ე ტ ი.

კომიტეტი მოთავსებულია ქუთაისში, საგუბერნიო სამმართველოს ბინაზე (ვორონცოვის ქუჩაზე ქალაქის ბაღთან). კანცელარია ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, საღამოს 6—8 საათ. 5—4

ექიმ **ივ. ბოკერიას** ხირურგიული და გინეკოლოგიური საავათმყოფო მოსალოგინებელი განყოფილებით გაიხსნა და დასაწოლი ავათმყოფების მიღებაც განახლდა.

მიხეილის ქუჩა, წითელ ხიდთან, ქალაქის გამგეობის პირდაპირ. 31—თ.

## ჩვენ და ოსმალეთი.

ოსმალეთმა მოიწადინა გერმანეთის გამარჯვებაში ნაყოფი თავისთვის მოემკო და ამიერ-კავკასია ხელში ჩაეგდო. და, თავისი საწადელი რომ აესრულებია, აზიისა და ევროპის მთავარი გზები ხელში შერჩებოდა.

დღევანდელი მსოფლიო ომი არის ბრძოლა საერთაშორისო გზებისათვის. და გერმანეთმა თავისი ამდენი შვილი ნუ თუ ოსმალეთისათვის გაიმეტა და შესწირა სხვერპლად?! რასაკვირველია, არა.

აქ მარხია მიზეზი განხეთქილებისა გერმანეთსა და ოსმალეთს შორის.

ერთი მხრით გერმანეთს ოსმალეთი სჭირდება, როგორც მოკავშირე. მეორე მხრით იძულებულია მის გაუმაძღარ მადას საზღვარი დაუდვას და ამ ორპოფი მდგომარეობიდან გერმანეთი საქართველომ გამოიყვანა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა არასოდეს გერმანიის ორიენტაციას არ გაიზიარებდა, ვინაიდან აღერბეიჯანს აქვს მიზიდულობა ოსმალეთისკენ, სომხეთს კი ინგლისისკენ.

არტაანის, ახალციხისა და ბათუმის ოლქის ქართველი მაჰმადიანები ბაქოელი თათრების აგენტებმა გადაგვკიდეს.

მეორე მხრით სომხეთი მთელს თავის იმედებს ინგლისის შეპირებებზე ამყარებს.

მაშ საქართველოს მეტი გზა აღარა ჰქონდა, თავისი დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებია და გერმანიისათვის მფარველობა უნდა ეთხოვა.

ასეც მოხდა. და საქართველოს დამოუკიდებლობა თანასწორად სასარგებლოა საქართველოსა და გერმანეთისათვის.

გერმანეთს სურს, საქართველომ საკუთარი ძალით დაიცვას თავი ოსმალთა შემოსევისაგან. იმავე დროს მას შემოჰყავს ჯარი საქართველოში, რომ უზრუნველჰყოს თავისი საოპერაციო ბაზა.

და, თუ გერმანეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე ოსმალეთს არ შეებრძოლება, უეჭველია, აღერბეიჯანი და ჩრდილოეთიდან მოსალოდნელ შემოსევას შეაჩერებს.

მაშ ოსმალეთს საკუთარი ძალით უნდა გავუმკლავდეთ. შესაძლებელი იქნება კი ეს ჩვენთვის? რასაკვირველია კი, ვინაიდან გერმანეთი ზურგს გვიმაგრებს.

უნდა გვახსოვდეს იმავე დროს, რომ გერმანელები ანგარიშის ხალხია და, რამდენადაც მეტ ჯარს მოგვახმარებენ, იმდენად მეტ უფლებასა და უპირატესობას მოითხოვენ.

მაშ ჩვენი პოლიტიკა ამგვარი უნდა იყოს: დავიცვათ ჩვენი სამშობლო საკუთარი ძალითა და გერმანეთის იარაღის საშუალებით, არ დავაბანდოთ გერმანეთის ჯარი საკუთარი საქმეებისათვის და გავუხსნათ მას გზა აღერბეიჯანისკენ.

მხოლოდ მაშინ იქნება გერმანეთი მფარველი და არა ბატონი.

ამგვარად ჩვენ თუ რუს, მთიელთა და თათართა შემოსევას მოვიგერებთ და გერმანეთს აღმოსავლეთისაკენ გზას გავუხსნით, ამით ჩვენს საქმესაც გავაკეთებთ და გერმანეთსაც დავეხმარებით.

მაშ ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად სამი რამეა საჭირო: გერმანეთის მეგობრობა, ძლიერი ჯარი და საკუთარი ძალით საქართველოს ტერიტორიის დაცვა.

ეს შესაძლებელია!

**ვასილ წერეთელი.**

# პრესა.

გაზ. „საქართველო“ ეხება იმ გარემოებას თუ რომელი ერი როგორ შეხვდა **საქართველოს** დამოუკიდებლობას და სწერს:

საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენას, როგორც მოსალოდნელი იყო, სიხარულით შეეგებენ საქართველოში მცხოვრებნი უცხო ეროვნებანი და აგეთვე ჩვენი მახლობელი და შორეული მეზობლები.

საქართველოს დამოუკიდებლობას 26 მაისსავე მიესალმა ამიერ-კავკასიის თათრობის სახელით ეხლა უკვე ადერბეიჯანის მთავრობის მეთაური ხოის ხანი. მისალმება იყო გულწრფელი და სავსებით შეეფერებოდა იმ მეგობრულს განწყობილებას, რომელიც არა დღეს და არა რევოლუციის დროს მხოლოდ, არამედ მრავალ წელთა განმავლობაში მყარდებოდა ქართველ ერსა და მის მეზობელ თათართა შორის. ჩვენს განთავისუფლებას მხურვალედ მიესალმა პოლონელი წარმომადგენელი. თანაგრძნობა და კეთილი სურვილები გამოგვიცხადა ამიერ-კავკასიაში მცხოვრებთ გერმანელების წარმომადგენლებმა და გერმანიის მხედრობის ერთმა წევრმა. ამ მილოცვას, რასაკვირველია, მთელი ეროვნული საბჭო აღფრთოვანებით შეხვდა და ეს საუკეთესო გამომხატველი იყო იმ ურთიერთობის, რომელიც მყარდება ახლად აღდგენილ საქართველოსა და დიდი გერმანიის შორის.

საქართველოს მიესალმენ უკრაინელები, ბერძნები, ლატიშები, ებრაელები. საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნებებმა სალამი უძღვნეს საქართველოს და გამოსთქვეს თვისი სიხარული რომ მისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობა აღსდგა. ამ თანაგრძნობას ქართველი ერი მათგან სავსებით მოელოდა, ვინაიდან, როგორც მახლობელ წარსულში, ისე შორეულს საუკუნეებში საქართველოს ყველა მცხოვრებნი, როგორც ქართველნი, ისე უცხონი თავს მუდამ საქართველოს სწორუფლებიან და თანასწორ წევრად ჰგრძნობდენ. როგორც ჩვენ ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნებათ, ისე ყველა ქართველებს მტკიცედ გვწამდა, რომ ქართველი ერის მიერ ეს საუკუნეთი განმავლობაში შეთვისებული კეთილშობილური თვისებები კიდევ უფრო განმტკიცებული იქმნება მომავალს საქართველოში.

საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენის ჩვენი ქვეყნის ეროვნებათა შორის გამონაკლისს სომხობა შეადგენდა. მათ არ მიულოცეს საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა, ისინი არ მიესალმენ ქართველი ერის თავისუფლებას. წინააღმდეგ ამისა სეიმის უკანასკნელს კრებაზე და თბილისის ქალაქის საბჭოს კრებაზედაც ამ ერის პასუხისმგებელმა წარმომადგენლებმა სავსებით გამოაშკარავეს ის სულისკვეთება, რომელსაც ისინი განიცდიან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამო.

ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობ, რომ სომხის ერის უმრავლესობისა თვის საწყენი იყოს საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენა, სადაც ისინი მუდამ მფარველობას და თანაგრძნობას ჰპოულობდენ. თუ ამ ერს შეგნებული აქვს თავისი ნამდვილი ინტერესები და არ აქვს დავიწყებული მახლობელი და შორეული წარსული, ის სიხარულით უნდა ხვდებოდეს საქართველოს პოლიტიკურდ აღდგენას.

მაგრამ ამ ერს წარსულშიაც მრავალი ჰყავდა ისეთი მეთაურები, რომელნიც საქართველოს წინააღმდეგ მუშაობდენ ფარულად თუ აშკარად, როდესაც ყოველი სომეხი საქართველოში სწორ-უფლებიანი მოქალაქე იყო და საქართველო მთელ სომხის ერს მფარველობდა. სომხის ერს ამ ჟამად მხოლოდ ასეთი ადამიანები მეთაურობენ და მით აიხსნება, რომ სომხების სახელით არავინ მიესალმებია საქართველოს თავისუფლებას, წინააღმდეგ ამისა გამოხატავენ ღვარძლს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამო.

ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ყველა მცხოვრებნი ერთგული ქვეშევრდომნი იქნებიან საქართველოსი და არც ერთი საქართველოში მცხოვრები ეროვნების მასსა არ გახდება თანამოზიარე იმ ბინძური მუშაობისა, რომელსაც წინეთაც ეწეოდენ და ეხლაც ეწევიან ზოგიერთი პოლიტიკური წრეები და რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგენილ საქართველოს ყოველთვის მოეპოვება საკმაო საშუალებები.

„ერთობა“ ეხება საქართველოს მდგომარეობას დამოუკიდებლობის შემდგზე აღნიშნავს გერმანეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებს და ოსმალთა მიდა-მხსნილობას, სხვათა შორის სწერს:

შემდეგ, რაც გერმანიამ ჩვენი დამოუკიდებლობა სცნო, ეჭვი არ არის, ოსმალეთის ხელში არავინ დასტოვებს ჩვენს ქვეყანას. საერთოშორისო კონგრესი საბოლოვოთ გადასწყვეტს ჩვენი ქვეყნის საკითხს დი ოსმალეთს საქართველოდან გააძევებენ. ეს კარგათ იცის თვით ოსმალეთმა.

მაშ, რისთვის მოიწევს ის ჩვენი ქვეყნისაკენ?

ვინც ოდნავ მაინც გაეცნო აჭარის და გურიის ნაწილის დაპყრობის ამბებს, მან იცის, თუ რისთვის მოდის ჩვენში ოსმალეთი. მან გაძარცვა აჭარა და გურიის ნაწილი, წაართვა გლეხებს უკანასკნელი გირვანქა სიმინდი. უდანაშაულო და უმწეო მოხუცების სიცოცხლეც კი არ დაინდვეს.

ასეთივე დღე მოგველის ჩვენც, თუ ოსმალეთის წინსვლა არ შევაჩერეთ. მართალია, გერმანიამ იცნო ჩვენი დამოუკიდებლობა, მაგრამ ის ჩვენი გულისთვის ომს ვერ გამოუცხადებს ოსმალეთს. ოსმალეთმა ეს იცის და ამიტომ ცდილობს ის მომხდარ ფაქტის წინაშე დააყენოს გერმანია. საქმე შეიარაღებულმა ძალამ უნდა გადასწყვიტოს.

უკუ გავიდა ოსმალეთის ულტიმატუმის ვადა. უნდა ვაჩვენოთ ოსმალეთს, რომ ჩვენ კიდევ შეგვიძლია ჩოლოქის ამბების განმეორება.

# პრესის მაგიერ

საქართველოში ხელოვნურად შემოსული რუსულ ეშალონების პარტიის მეთაურნი ჯერ კიდევ სავსებით ვერ შერიგებიან იმ გარემოებას რომ მათი არსებობას ჩვენში ბოლო უნდა მოეღოს. სად რუსეთის ხალხის ფსიხიკით და მდგომარეობით შექმნილი პარტია და სად ქართველი ხალხი.?! საერთო სრულებით არაფერია. საბუთი ამისთვის ის არის, რომ ს. რევოლიუციონერების პარტიის წევრთა რიცხვი, მას შემდეგ რაც საქართველოს ტერიტორია განთავისუფლდა რუს ჯარისკაცებისაგან, თითზე ჩამოითვლება. რა ძალა აქვს დღეს ამ პარტიას ჩვენში, ან რა გავლენა? არავითარი. მაგრამ მაინც ამ უცნაურ ხალხს კიდევ აქვთ ქართულ ენაზე ორგანო „რევოლუციონური ნობათი“, რომლის ფურცლებზე თითქმის ყოველ დღე ინთხევა შხამი და ღვარძლი მოწინააღმდეგეთა მიმართ. გვესმის იდეური ბრძოლა, შეგნებული, საბუთიანი კამათი და წინააღმდეგობა, მაგრამ როდესაც კამათში ცარიელ სიტყვების და შხამიან დემაგოგიის მეტს ვერას ვხედავთ, აქ უკვე ირკვევა თუ როგორი გონებრივი ბაგაჟის პატრონ მოწინააღმდეგესთან გვაქვს საქმე.

ავიღოთ მაგალითი:

„რევოლუციონური ნობათი“ს 41 ნომერში წაიკითხეთ წერილი სათაურით „დრო იხელთეს“.

წერილის ავტორი პასუხს აძლევს გაზ. „ჩვენი ქვეყანას“, რომელიც ამას წინად შემდეგს სწერდა სოციალისტური მთავრობის მოღვაწეობის შესახებ. „სოციალისტებმა შეთხზეს უცნაური საადგილმამულო კანონი, რომელმაც საქართველოში მეურნეობას ძირი გამოუთხარა, სახელმწიფოს ძვირფასი ქონება დაუკარგა, ხაზინა გააკოტრა და სოფლად ანარქია გაამეფა“.

აი, ეს არის „ჩვენი ქვეყნის“ ბრალდებები და ამ ბრალდებათა საწინააღმდეგოდ მოპასუხემ თავის წერილში უნდა დაამტკიცოს, რომ „ჩვენი ქვეყანა“ მართალი და სწორი არ არის, რომ საადგილმამულო კანონებს მეურნეობისათვის ზიანი არ მიუყენებია, ხაზინა არ გაუკოტრებია, ანარქია არ გამოუწვევია სოფლად და სხვა. მაგრამ ასეთ პუნქტუალური, ლოღიკურ პასუხის ნაცვლად აი, რას ვკითხულობთ „ნობათი“ს ფურცლებზე იმავე წერილში. „რასაკვირველია, „ჩვენი ქვეყანას“ სხვა ენით ლაპარაკი არ შეუძლია, ვინაიდან ის ემსახურება არა საქართველოს დემოკრატიის ინტერესებს, არამედ ჩარჩ-ვაჭრების და მემამულეების ინტერესებს. მას გული ეწვის იმაზე-რომ ბოლო ეღება მემამულეების და მუქთა ხორების ბატონობას, ეროვნულ „დემოკრატებმა“ კარგად იციან, თუ ვინ დარჩება მიწის საკითხის მშრომელთა სასარგებლოდ მოგვარებით უკმაყოფილო და ამ ნიადაგზე ვინ შეუწყობს ხელს ანარქიის გამეფებას, მათ უნდათ ჩვენს მშრომელ ხალხს გონება დაუბნელონ და თავის ბატონობის აღსადგენად გამოიყენონ ის“.

„ნობათი“ს კალმოსანი ალბად თავისებურმა პარტიულმა საკვირველებამ მოიცვა როდესაც „ჩვენი ქვეყანა“ში სოციალისტური მთავრობის საწინააღმდეგო წერილი წაიკითხა და იკისრა მისი დაცვა, მფარველობა. საერთოდ დაცვა კეთილი საქმეა, მაგრამ დაცვაში საჭიროა უმთავრესად ფაქტები და ლოღიკა, თვინიერ ამისა ფუჭად ჩაივლის ვექილობის „ცდა“

არის თუ არა ამ პასუხში იმ ბრალდების უარყოფა, რომლების „ჩვენი ქვეყანამ“ წამოაყენა?

არის თუ რა პასუხი იმის წინაღმდეგ, რომ სოციალისტური მთავრობის კანონმა „მეურნეობას ძირი გამოუთხარა, სახელმწიფოს ძვირფასი ქონება დაუკარგა, ხაზინა გააკოტრა და სოვლად ანარქია გაამეფა“? ავტორს ამის წინააღმდეგ არაფერი უთქვამს. ჩვენ კი მოვითხოვდით ამ ბრალდების უარისყოფას, მაგრამ რადგანაც პასუხს არ იძლევა „ნობათის“ პუბლიცისტი, ალბად თანხმობას უცხადებს „ჩვენი ქვეყანას“ და ბრალდებათა სამართლიანობას სავსებით გრძნობს. ლოღიკურად ასეთი უნდა იყოს დასკვნა-სამაგიეროდ ავტორი დემაგოგიურ კილოს ჩაჰკიდებია და ცდილობს პარტიის მოღვაწეობას ჩირქი მოსცხოს მრავალი ცილის წამებით. რამდენად შეეფერება ასეთი მსჯელობის დაწერის ხასიათი პოლიტიკურ ორგანოს თანამშრომელს, ეს თვითონ „ნობათის“ რედაქციამ გაითვალისწინოს. ჩვენ არას ვიტყვით. მრავალჯერ გვსმენია ასეთი ბრალდებანი, პასუხიც შესაფერი მიგვიცაი განმეორება ზედმეტია გაკოტრებული ადამიანის სულისკვეთება და ფსიხიკა გვესმის როგორია და ასეთი დემაგოგიაზე პასუხი დროს დაკარგვა იქნება.

შემდეგ „ჩვენი ქვეყანა“ სწერდა: „ხალხს სახელმწიფო გადასახადები არ გადაახდევინეს, მოსპეს დისციპლინა ჯარში და ყოველივე წესიერება, სამოქალაქო ცხოვრებაში არივ-დარიეს სურსათის საქმე, გაანადგურეს ვაჭრობა და მრეწველობა. დაინგრა გზები, შეწყდა მიმოსვლა, ჩამოვარდა შიმშილობა და წარმოუდგენელი სიძვირე. რა ძალა ჰქონდათ ნაციონალისტებს? როდის მიჰყვებოდა მათ ხალხი?„

ამბობს მოკამათე და მერე განაგრძნობს „დიახ, ჩვენმა მშრომელმა ხალხმა დიდი ტანჯვა ვაებით გადაიტანა ასე მოაზროვნე ხალხის მძიმე უღელი და მან რუს ამხანაგებთან ერთად ბოლო მოუღო თავის მოსისხლე მტრების ბატონობას. თქვენი ძალა კარგად ახსოვს მას და არც დაავიწყდება თქვენი ბატონობის საშინელი დღეები...

არის თუ არა აქ თუნდა მცირე პასუხი აღნიშნულ ბრალდებაა წინააღმდეგ? ამბობს თუ არა ავტორი რამე საწინააღმდეგოს, რომ სოციალისტური მთავრობამ მოსპო ჯარში დისციპლინა, წესიერება, არივ-დარივ სურსათის საქმე, გაანადგურა ვაჭრობა-მრეწველობა, გამოიწვია სიძვირე და სხვა, ჩვენ პასუხს აქ ვერ ვხედავთ, ალბად აქაც მართალია „ჩვენი ქვეყანა.“ მართალია, წერილში ხშირად გაიგონებთ „მოსისხლე მტრები, ბატონობა, მძიმე უღელი და სხვ. ჩვენ კვლავ იმის განმეორება გვჭირდება, რაც ზევით ვსთქვით, რომ ეს ყოველივე შაბლონიურია, მრავალჯერ თქმული, დიახ მხოლოდ თქმული, მაგრამ დაუმტკიცებელი. ამ რიგად „ნობათის“ წერილმა „ჩვენი ქვეყნის“ ვერც ერთი ბრალდება ვერ დაარღვია.

ავტორი სხვათა შორის ფრჩხილებში სვამს შემდეგ წინადადებას „ეროვნულ-დემოკრატებმა ბოლოდროს ოსმალეთის ფაშებისაკენ იბრუნეს პირი“, მოვახსენებთ „ნობათს“ თანამშრომელ „საშას“ (წერილს ავტორი), რომ მას თვალყური არ უდევნებია ჩვენი გაზეთებისათვის რომლებშიაც ჩვენ მუდამ წინააღმდეგი ვყავით ოსმალთა შემოსვლის და კიდევაც მათი წინააღმდეგ იარაღით გავედით. ნუ დაგავიწყდებათ, ჯერ კიდევ მაშინ როდესაც ამიერ-კავკასია არ იყო დამოუკიდებელი, რომელსაც ჩვენი მთავრობის პოლიტიკური თვალი რუსეთისკენ იყო მიპყრობილი, ასეთი სახიფათო მომენტში ეროვნულ საბჭოში გერონტი ქიქოძემ პარტიის სახელით განაცხადა, რომ ჩვენ მხოლოდ გერმანული ორიენტაციის მომხრეები ვართ:

ასეთი იყო ჩვენი აზრი სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა იმ უმწეო პოლიტიკურ და ეკონომიურ ყოფაში ჩავარდა, რომელიც შექმნა სოციალისტურმა მთავრობამ. ოსმალეთისკენ ეროვნულ-დემოკრატებს არასოდეს არ ქონდათ თვალი მიპყრობილი დამავვარი ცილის წამება ფრაზეოლოგ ხალხის დემაგოგიის ნაყოფია, რომელიც მათ ჟამს პარტიულ განკითხვისასა ეგრე რიგად დასჩემდათ ამ რიგად, მთელი წერილი „დრო იხელთეს“ დაწერილია არა სოციალისტური მთავრობის დასაცავად იმ ბრალდებათა მთელი რიგიდან „ჩვენი ქვეყანამ“ წამოაყენა, არამედ იმისთვის რომ კვლავ ჩვეულებრივი შაბლონით და დემოგოგიური სიმწარით მოიხსენიონ პოლიტიკური პარტია გაუტეხონ სახელი ხალხში, რომელიც დღეს გამოერკვია დე თავისი ნამდვილი სიტყვა სთქვა, გამოამჟავნა წრფელი. სურვილი მიპრძანდით სოფელში უსმინეთ ხალხს და თქვენ ყველა ბრალდებას, რომელიც „ჩვენი ქვეჩანამ“ წამოაყენა იქ გაიგონებთ. მეტი ლოღიკა, მეტი დაკვირვება და ეთიკაა საჭირო მაშინ, როოესაც კალამს ხელთ იღებთ! მყვირალობით გაზეპირებულ სიტყვების უხვად ბნევით მომაკვდავ რუსულ ჯარის პარტიის დაცვა ვერაფერი სამსახურია თვით ამ პარტიისადმი|

მ. მეგრი.

# საზავო დელეგაცია

რადგანაც ოსმალეთის ულტიმატუმის მოთხოვნილებები საქართველოს რესპუბლიკასაც ეხება მთავრობამ დაადგინა ბათომში საზავო დელეგაცია გაგზავნოს მინისტრ-პრეზიდენტის ნოე რამიშვილის მეთაურობით. მას როგორც დელეგაციის თავმჯდომარეს ჩვეულებრივ გაჰყვებიან გენ. ბ. ოდიშელიძე ადიუტანტებით, გ. გვაზავა და გ. რცხილაძე. დელეგაციასთან გაჰყვება საჭირო მოსამსახურეთა შტატი.

**სომეხთა დელეგაცია**

29 მაისს ბათომში გაემგზავრა სომეხთა საზავო დელეგაცია ა. ი. ხატისოვის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან: მ. ი. პაპაჯონოვი და რ. ი. კაჩაზნუნი.

# ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**მობილიზაცია ქუთაისში.** 31 მაისს ქუთაისში მობილიზაციის საქმე კარგად ჩატარდა. სამაზრო საკრებულოსთან დიდძალმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი. კომისია მიღებულ ჯარის კაცებს ჯარის ნაწილებში გზავნის.

**მობილიზაცია სამტრედიის რაიონში.** როგორც სამტრედიიდან გვატყობინებენ სამტრედიის რაიონის სოფლებიდან ახალგაზრდობა ჯარში ჩასაწერად დიდი აღფრთოვანებით მიეშურებიან. თვით ახალგაზრდობა სოფლებში ისეთებს ვისაც თავის ხმარება შეუძლიათ აღარ სტოვებენ. ყველა სამშობლოს დასაცავათ მიეშურებიან.

**შეპყრობა.** მთავრობის განკარგულებით გუშინ ქუთაისის ქუჩებში აპატიმრებდენ იმ პირებს ვინც თავის ნებით ჯარში არ მიდიან.

**კრება სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირთა კავშირისა.** 2 ივნისს, ნაშუადღევის 5 საათზე სახელმწიფო მიწათა და ქონებათა სამმართველოს დარბაზში მოხდება კრება სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირთა კავშირის დელეგატებისა. განსახილველი კითხვებია: პოლიტიკური მომენტი, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. 2) და სხვა კითხვები რომლებიც შეეხებიან კერძოდ მოსამსახურეთა მდგომარეობას.

**ქალების სოციალიზაცია.** „სვ. რის". გადმოგვცემს: სარატოვში ანარისტების კლუბმა გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც „ყველა ქალები, 17-დან 32 წლ. ცხადდებიან სახელმწიფოს საკუთრებად. ქმრების უფლებები ისპობა. ქალებს დაუგზავნიან მსურველებს მათ თვეში სახელმწიფო ქონებიდან 232 მან. ეძლევათ.

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ** დაადგინა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს ოსმალეთის ლაშქარს, თუ მან საქართველოს საზღვრები გადმოლახა.

**ახალციხე.** ბათომში ტყვეთ მყოფ სამხედრო პირებმა გვიამბეს, რომ ოსმალებმა ბათომში ჩამოიყვანეს ახალციხიდან გამოპარული და დატყვევებული მღვდელი ხუციშვილი. ხუციშვილისათვის დატყვევებისას უნახავთ საყურადღებო საბუთები ახალციხის მდგომარეობის შესახებ. მღვდელის სიტყვით ახალციხე გარშემორტყმულია თათრის ჯარით. ჩვენი მცირე რიცხოვანი ჯარი მედგრად იბრძვის.

**მოქალაქენო!** 30 მაისიდან დაიწყო საყოველთაო მობილიზაცია მთელს საქართველოში ყოველის მხრიდან მოზღვავებული მტერი ემუქრება განადგურებით, მონობის ბორკილებით ჩვენს თავისუფალ სამშობლოს. სურს სისხლის ზღვაში ჩაახრჩოს გამარჯვებული დემოკრატიის იდეალები და რევოლუციის მონაპოვარნი; სურს დაანაწილოს, დააქუცმაცოს საქართველოს ტერიტორია, გააუქმოს ყველა ის კანონი რომელიც გამოსცა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ; სურს ცეცხლით და მახვილით გადასთელოს შავიზღვიდან კასპიის ზღვამდე დღემდის ხელუხლები ქვეყანა და გახადოს იგი ველურ ურდოთა სათარეშოთ.

მოქალაქენო! საჭიროა ძალა, მჭიდროთ დარაზმული, საჭიროა მარჯვეთ მოქნეული და დროზე ნახმარი ფარხმალი, რომ არ დაიღუპოს განმარტოებით დარჩენილი თავისუფალი, მაგრამ გარემოცული, დემოკრატიული და რევოლუციონური საქართველო. მოვალეობა მოქალაქის მოგიწოდებთ ყველას, ყოველის საშუალებით ხელი შეუწყოთ მთავრობას სისწრაფით და სავსებით გაატაროს მან მობილიზაცია ქვეყნის სახსნელად.

ყველა ვინც გაურბის დღეს სამშობლოს სახსნელ გამოსვლას მოღალატეა დემოკრატიის; ყველა ვინც დღეს ხელს არ ჰკიდებს მისაშველებლათ-მოღალატეა თავისუფალი საქართველოსი: ყველა ვინც არ ამოუდგება გვერდით იმ გმირებს, რომელნიც ბრძოლის ველზე დგანან-მოღალატეა და გამცემია მათი.

მაშ მოქალაქენო! შეასრულეთ თქვენი მოვალეობა, მოიხადეთ თქვენი ვალი და დაუყონებლივ გამოცხადდით მთავრობის მიერ აღნიშნულ ადგილებში ჯარებში ჩასაწერათ.

საგუბერნიო ინტერპარტიული კომისია: სოციალ-დემოკრატიული პარტიისა, კომუნისტს-ბოლშევიკების პარტიისა, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისა, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა, და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისაგან.

# დროებით მასწავლებელთა საყურადღებოთ

ქუთაისის გუბერნიის სკოლების კომისარიატი აუწყებს ყველა იმ მასწავლებელთ, რომელნიც იყვნენ დაშვებული დროებით მასწავლებლის მოვალეობის აღმასრულებლად და ევალებოდათ წარმოედგინათ მასწავლებლობის წოდების მოწმობა არა უგვიანესი პირველი ივნისისა, რომ არსებული პირობათა გამო სასწავლო წლის მიმდინარეობაში ზემოხსენებული ვადა გრძელდება 15 ენკენისთვემდი მიმდინარე წლისა; მხოლოდ ვინც ამ საბოლოო ვადამდე არ წარმოადგენს მოწმობას, დათხოვნილი იქნება ყოველი მიზეზის გარეშე.

კომისარიატის წევრნი: **ნ. მგელაძე, გ. ჭუმბურიძე, მ. გავაშელი, ილ. ფერაძე.**

# უვიცობის ნიშანი.

(სააბრეშუმო სადგურის გარშემო.)

ნიკოლოზის მთავრობა დიდათ არ იტკივებდა თავს ჩვენი მხარის კეთილდღეობისთვის და სასარგებლო დაწესებულების ღირსი რომ გავმხდარიყავით. ამისთვის დიდი შრომა და ენერგია უნდა დაეხარჯა მთელი საზოგადოება, ან ამა თუ იმ გავლენიან პირებს და შეიძლება მაშინ შველობდა საქმეს სასურველად დაბოლოვებას. სწორედ ასეთი შრომის და ენერგიის დახარჯვა დასჭირდა რამოდენიმე პირს და განსაკუთრებით ი. ქუთათელაძეს, რომ ძველი მთავრობისთვის გამოეგლიჯა ხელიდგან ქუთაისის გუბერნიაში სააბრეშუმე სადგურის დაარსების ნებართვა. მკითხველ საზოგადოებას კარგად ახსოვს, თუ რა სიამოვნებით აღნიშნავდა ამას ჩვენი პრესა და რა სიხარული გამოიწვია მეაბრეშუმეთა და დაინტერესებულ ხალხ-შორის. როგორ შეიძლებოდა სიამოვნება არ გამოიწვია შეგნებულ ადამიანში ამ მთელი მხარის და მშრომელ ხალხის სასარგებლო დაწესებულების დაარსებას? ვინც ჩვენ მხარეში მეაბრეშუმეობის კარგ ნიადაგზე დაყენებით არის დაინტერესებული, ყველამ კარგად იცის უსათუოდ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქუთაისის გუბერნიისთვის აბრეშუმის სადგურს. ეხლა ჩვენს მზრუნველობა უნდა შეადგენდეს ის, რომ ხელი შეუწყოთ სადგურის სავსებით ისე მოწყობა, როგორც თვით საქმე და მებრეშუმეთა ინტები მოითხოვს, ე. ი. უნდა იყოს მოწყობილი, როგორც ჭიის მოსავლელი შენობა აგრეთვე თესლის შესანახი სარდაფი და პარკის გამოსახრჩობი. ამასთან ეს დაწესებულება უნდა იყოს ისეთი ადგილს, სადაც ხელი მიუწვდება უმრავლესობას მეაბრეშუმეებისა, როგორც თესლის შესაძენად, აგრეთვე დარიგების მისაღებათ და პარკის გამოსახრჩობად. სწორეთ ასეთ ხელისაწდომ ადგილათ უნდა ჩაითვალოს ის ადგილი, სააბრეშუმო სადგური, რადგან ცენტრი აბრეშუმის პარკის ბაზრისა აქვე არის და პარკის გამოსახრჩობის ასე ახლოს მოწყობა საშვალებას აძლევს პარკი ჩალის ფასად არ დააკარგვინონ ხალხს. როგორც საზოგადოთ ყველასთვის, აგრეთვე ბალის ქუჩის მცხოვრებლებისათვისაც დიდათ სასიამოვნო დარჩა, როდესაც გადაწყდა ხსენებულ შენობის ამ კუთხეში აშენება. სასიამოვნო იყო მით უფრო, რომ ბედმა, ასეთი ძვირფასი დაწესებულება, ჩვენდა უშრომლად არგუნა ჩვენს კუთხეს, როდესაც სხვა კუთხეები დიდს შრომას და ფულსაც ხარჯვენ, რომ ასეთი დაწესებულება თავისკენ მიიზიდონ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ ყოფილან ჩვენს უბანში ისეთი უვიცნი, რომ არ სცოდნიათ ამ სადგურის მნიშვნელობა, რადაც პირად სარგებლობის ინტერესებს გაუტაცნია და მთელი ბალის ქუჩის მცხოვრებლების სახელით საჩივარი შეუტანიათ ქალაქის გამგეობაში და ითხოვენ სადგურის სადღაცა[illegible] გადატანას. ვაი სირცხვილო! ეს პირნი ქალაქის მცხოვრებლებათ ითვლებიან და ბევრი იმათგანი შეგნებულ სოციალისტსაც უწოდებს უსათუოდ თავის თავს. მე, როგორც ბალის ქუჩის მცხოვრები, ძალიან გამაკვირვა ამ გარემოებამ და როდესაც გადავათვალიერე სია მომჩივნებისა, ჩვენი ქუჩის მცხოვრებლების თავის მომჭრელნი აღმოჩდენ გაბაშვილების განაყიდ ადგილებში ახლად ჩამოსახლებულები, რომლებიც დიდი საყვედურის ღირსნი არიან ასეთი შეუფერებელ საქციელისთვის, მით უფრო რომ ისინი პირადათ ი. ქუთათელაძეს ეხებიან და ბრძანებენ:

„იოსებ ქუთათელაძეს ცენტრში ცხოვრება სურდა და კიდევაც ბრძანდება ზედა სართულშიო". ბატონებო! იოსებ ქუთათელაძეს თავის ცხოვრებისთვის კი არ აუშენებია ეგ შენობა ჩვენს კუთხეში, არამედ იმისთვის, რომ საქმისთვის და უმრავლესობისთვის ასე იყო საჭირო და თუ პირადათ თქვენ ვერ სარგებლობთ, იწამეთ და შეიგნეთ რომ ეს დაწესებულება იმათთვის არის სასარგებლო, ვინც მეაბრეშუმეობას ეწევა, რომელთა რიცხვიც ქუთაისის გუბერნიაში ცოდ უმრავლესობას შეადგენს და ყოველ შემთხვევაში ბალის ქუჩის რამდენიმე მცხოვრებზე მეტი ხმა და უფლება აქვს.

საჭიროა ყველამ შეიგნოს სააბრეშუმო სადგურის უდიდესი მნიშვნელობა და მის დამაარსებელ მეთაურს, როგორც სამართლიანობა მოითხოვს საყვედურის ნაცვლად მადლობა მიეძლვნას.

**პელაგია.**

# მწარე ფიქრები და მოგონებანი.

2

ამ ოცდა-ათი წლის წინად მე მქონდა შემთხვევა ერთ ზაფხულს თითქმის ყოველ დღე ვყოფილიყავი ჩვენ სასიქადულო მგოსან აკაკისთან. ერთხელ აკაკიმ სთქვა: მე ტყუილად ვშრომობ, არ მაქვს იმედი ჩვენი ერის გამობრუნების და რაც მალე სულ გადავგვარდებით უკეთესიაო. ეს მწარე და სასოწარკვეთილების სიტყვები ხშირად მაგონდებოდა ხოლმე, --მაშინ მე არ მიკითხავს რამ მიიყვანა ამისთანა უიმედობამდი ჩვენი ერის იმედი აკაკი, რადგან მეც ვხვდებოდი რომ ამ სასოწარკვეთილების მიზეზი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დაქვეითება იყო. რას წარმოადგენდა ჩვენი ერის, ჩვენი საზოგადოების, ეროვნული ცხოვრების ამ უკანასკნელ დროს?

ამ ერთ საუკუნეში მონობამ ისეთი დაღი გვაჩინა, რომელიც თანდათან ღრმავდებოდა. დაჩლუნგდა ეროვნული გრძნობა და ბეჩავდა დახუნდავდა ერი სულიერად, გონებრივად და ქონებრივად. გარეშე ბატონ-პატრონის შემჩერე ჩვენმა ერმა დაკარგა თვითმოქმედების, თვით გამორკვევის უნარი. და გახდა „საპეკუნო" მაგრამ ესეც ცოტაა. შევეხოთ იმას თუ რა დაგვმართა რუსთა ბატონობამ, საზოგადოთ რუსობამ

მონობის დამახასიათებელია სულის სიმდაბლე. ბატონის სიამოვნებისათვის მონა ეჩვევა სიყალბეს, სიფლიდეს, მონებში ერთმანეთის შური, გაუტანლობა, სიხარბე გათიშვა და სხვა ამისთანა თვისება ჩავვნერგა. ერთმა ქუთაისის გუბერნატორმა სთქვა: „საქართველოში და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში ტყუილა ხარჯავს მთავრობა ფულს ჟანდარმების შესანახად. აქ ყველა მეზობელი მეზობლისათვის საუკეთესო ჟანდარმიაო." დიდ გაქრა ერთობის, საზოგადო, ეროვნული ინტერესის გრძნობა გაგვება და ყველა ჩვენთაგანი თავისთვის იყო. რადგან გვესიამოვნებია ჩვენი ბატონისათვის და ჩვენ მზად ვიყავით ყოველივე ჩვენი წმინდათა-წმინდა ეროვნული წარსული [illegible] დავვიწყებია, ასე წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ენაზე ლაპარაკიც გვეზარებოდა და რაც მეტს [illegible] ცოდნას ჩვენ[illegible] გამოვიჩენდით მით უფრო „განათლებულად" მიგვაჩნდა ჩვენი თავი.

თვითონ ჩვენი ბატონ პატრონი რომელსაც კულტურის ნასახი თითონაც არ გააჩნდა და მხოლოდ „საქვეყნო ჟარდანმის" სახელი ჰქონდა, ხელს უწყობდა და ქმნიდა ჩვენს გამათახსირებელ„ პოლიტიკას". ყოველი მისი დაწესებულება ჩვენში ისახავდა მიზნად და მისდევდა ჩვენს გადარჯულება-გადაგვარებას. უპირველესი ამ გადაგვარების საშვალებად იყო და იქნებოდა რასაკვირველია სკოლა. აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ ჩვენი ნიჭიერი პროფესორი მარრის სიტყვები, რომელიც ამოვიკითხე ერთს მის როშიურაში ცნობილი ხულიგანის, რუსიფიკატორის ვოსტორგოვის წინააღმდეგ. მარკსი ამბობს: „ყოველი შრომა და ხარჯი რომელიც რუსეთმა გასწია საქართველოში სწავლა-განათლებაზე არამც ფუჭი და უსარგებლო იყო ქართველი ერისათვის, არამედ პირდაპირ მავნებელიც. სკოლებში რუსიფიკაციის მიმდევარნი უნერგავდენ მოზარდმოსწავლე თაობას სიძულვილს თავისი წარსულისადმი, უხშობდენ ეროვნულ გრძნობას და ამისთანა სკოლის პოლიტიკამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ გამოდიოდა უნიადაგო, მოძულვილე თავისი და სხვისი თაობა."

ამისთანა პირობებში აღზრდილ თაობაში რასაკვირველია ადვილად გაჩნდებოდენ იმისთანა ინტელიგენტ-„დასელები", რომელთაც ეროვნული სული და გრძნობა დაკარგული ჰქონდათ და აქვთ.-ამ „დასელებიდან" წარმოიშვენ ახლანდელი ჩვენი სოციალ-დემოკრატები, რომლების საუკეთესო წარმომადგენელმა სთქვა: „მძულს "ჩვენი ერის წარსული და მეზიზება აწმყო" და რომელსაც უნდა ეთქვას ახლაც ერთ კრებაზე, რომ „ქართველი დემოკრატია დაიღუპება, მაგრამ მის ძვლებზე აღორძინდება განახლებული რუსეთის დემოკრატია" ო. —ნუ თუ ქართველმა ერმა არ უნდა უპასუხოს ამაზე ამის მთქმელს: „მე თუ არ ვიქნები ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩენილაო" ,—ვისაც ასე შესძულებია თავისი სამშობლო, თავისი ერი, თავის ქვეყანა რანაირად სძლებს და იტანს სიტანჯველს იცხოვროს ამავე ერში და ქვეყანაში.— სწორედ რომ საოცარია და საცოდავიც.- - აქ არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი გარემოებაც: ამ „დასელების", ანუ ეხლანდელი „მარქსისტების" შემკრებად ჩვენში ითვლება განსვენებული გიორგი წერეთელი, რომელიც იყო პირადად უკიდურესი პატრიოტი ან „მარქსისტების" სიტყვით რომ ვთქვათ "შოვინისტი" და-აი რა უკუღმართად გადასხვაფერდა მასგან გამოჩეკილი „დასი".— ახლა გადავიდეთ იმაზე აქვს თუ არა რაიმე ნიადაგი ჩვენში ამ „მარკსისტულ" მოძღვრებას და თუ არა აქვს, რად მოიკიდა ფეხი ისე, რომ, როგორც თავიდანვე დავიწყე და სამართლიანად მკითხავდა ჩემი მოსაუბრე რუსი, ჩვენში, საქართველოში გაბატონდა ამ უნიადაგო მოძღვრების მქადაგებელი „სოციალ-დემოკრატია".—

3.

სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ არსებითად მე მინდა გაუზიარო მკითხველს რამოდენიმეთ ჩემი ფიქრი და შთაბეჭდილება, რომელსაც იწვევდა და იწვევს ჩვენი ს. დ. მოქმედება —ქადაგება საქართველოში. მოგეხსენებათ. რომ ის ლოზუნგი, რომელსაც ისახავენ ჩვენი ს. დ. და რომელიც ყველა მათი გამოცემებზე სათაურში აწერია. „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით".—ბევრჯერ მოგვისმენია მიტინგებზე, რომ მოუწოდებენ ამ შეერ-

თეზაზე და სალამს უძღვნიან საზღვარ გარეთელ ,,ამხანაგებს''—პროლეტარებს''

ერთი ვკითხოთ და გავიგოთ ჯერ არის რამე მსგავსი იმისა, რასაც ჩვენი ,,სოციალისტები'' საზოგადოდ ჩვენი სოციალ-დემოკრატები ჩვენში ქადაგებენ და უნდათ განახორციელონ გაუკეთებული, ან განუხორციელებული თვით იმ მარქსის სამშობლოში, იმ მარქსის, რომლის სტრათს წაღმა-უკუღმა ქუჩა-ქუჩა და ,,სოფლებში დაატარებენ ან სხვა სადმე ქვეყანაზე? ან სადაა ჩვენში ,,ბურჟუაზია'' ,,პროლეტარი''—გააცნეს თუ არა ხალხს ჩვენში რა არის ან ,,ბურჟუაზია'' ან ,,პროლეტარი'' ჩაიხედონ მაინც ლექსიკონში თუ რა არის ,,პროლეტარი'', რა არის ,,ბურჟუა''—რაც დღეს ჩვენ საზოგადოებას, ჩვენს მასას არ აქვს ნათლად წარმოდგენილი ეს ცხადია, მაგრამ ერთს ამ პარტიის ლიდერს უთქვამს, ჩვენ რომ ჩვენი (სოციალ-დემოკრატების) პროგრამმა ნათლად აუხსნათ ჩვენ ხალხს ერთიც არ გვეყოლება მიმდევარიო და ეს სრული ჭეშმარიტებაა.

მაშასადამე ჩვენი ხალხის გაუგებრობით გზა აბნევით ისარგებლა პარტიამ და გაბატონდა და ამ ბატონობისათვის შექმნეს დონკიხოტისებური ბრძოლა ხელოვნური კლასობრივი ბრძოლა'' ამით ჩვენი გლეხობა შევიდა შეცდომაში იმით კიდევ, რომ ამ პარტიამ უწოდა თავისთავს ,,მუშათა პარტია''—,,სოციალ-დემოკრატია მუშათა პარტიაო'' იძახოდენ.—გლეხს ეგონა რადგან მუშა მე ვარ, ჩემი პარტიაც ეს იქნებაო.

X.

## გერმანეთი და კავკასია

(ერთი გერმანელი წერილი. თარგმანი გერმანელს ხელნაწერიდან).

მსოფლიო ომის დაწყებამდის ინტერესი კავკასიისა და მის მცხოვრებთადმი ევროპაში საზოგადოდ ძალიან მცირე იყო. მართალია, ზოგიერთ ცნობებით გეოგრაფები და გეოლოგები, ეთნოგრაფები, ენათ მკვლევარნი და ისტორიკოსნი, მგოსნები და მწერლები, კერძო მკვლევარი-მოგზაურნი და ზოგიერთი სამეცნიერო წრეები კავკასიას კვლევისა და წერის საგნად იღებდნენ, მაგრამ ფართო საზოგადოებისათვის მაინც კავკასია შეადგენდა უზარმაზარ რუსეთის ნაწილს, რომელზედაც ძალიან გაურკვეველი წარმოდგენა იყო გავრცელებული.

კავკასიის ნაწილები ყოველთვის არ იყვნენ დაშორებული ევროპის კულტურას. სახელდობრ სხვაგვარ იყო გარემოება, ვიდრე მონღოლ თათართა ბატონობა წარმოსდგებოდა და ვიდრე ოსმალთა ძალა მცირე აზიიდან ევროპას მოაწვებოდა. სანამ ბიზანტიის სახელმწიფო და ტრაპიზონი ბერძნული იმპერია არსებობდენ, საქართველოს ნავთსადგურიდან დაწყებული დასავლეთის კულტურის შუაგულამდის გაუტეხელი ხიდი იყო გადებული. მე-14 და მე-15 საუკუნის მოგზაურთაგან დარჩენილია აღწერილობანი, საიდანაც სჩანს ძველი საქართველოს სამეფოს აყვავება, რომელიც თუმცა თემურის თავდასხმისაგან იტანჯებოდა, მაგრამ მაინც წელში სწორდებოდა და სიცოცხლის ძალის მქონე სხეულს წარმოადგენდა.

ჩინგიზთა ალაგი კავკასიის ჩრდილოეთისაკენ რუსებმა დაიჭირეს. ამათ ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ კავკასიის კავშირი და ურთიერთობა ევროპასთან გაეძნელებიათ და ჩვენთვის, ევროპიელებისთვის, დაევიწყებინებიათ, რომ კავკასიის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილებში განსაკუთრებულის თავისებურობისა და საყურადღებო თვისებათა პატრონი ხალხები მოსახლეობდნენ, რომელთაც რუსობაში გათქვეფა სრულებითაც არ მიაჩნდათ თავის ახლობელ მიზნად.

მხოლოდ ამ მსოფლიო ომმა გააგებინა ყველას, რომ თვითმპყრობელობის რუსეთი ეროვნულად შერეულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელშიაც გაბატონებული ხალხი ველიკორუსებისა რიცხვით უმრავლესობასაც კი არ შეადგენდა. საზოგადოდ რუსეთში მცხოვრებ უცხო ერთა საკითხის წამოყენებისათანავე გაიზარდა ინტერესი იმ მრავალ პრობლემებისადმი, რომლებსაც კავკასია წარმოადგენს.

კავკასიის შესახებ პოლიტიკურმა საკითხებმა ფართო საზოგადოებრივი აზრი მოიპყრეს ქ. ლოზანაში 1916 წლის ზაფხულში გამართულ „ეროვნებათა კონგრესის" გამო, რომელიც თვითმპყრობელობის რუსეთის წინააღმდეგ უცხო ხალხთა დიდ მანიფესტაციას წარმოადგენდა. ამ კონგრესზე იყვნენ, რამდენადაც საქმე კავკასიას შეეხებოდა, წარმომადგენელნი ქართველთა, კავკასიის თათართა, მთიელთა, დაღესტნელთა, ნოღაელთა და სხვ. მიმოხსენებათ, რომელნიც იმათ გაკეთეს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს გაიმართა საზოგადოდ ბჭობა-კამათი ლოზანის კონგრესზე წარმოდგენილ თეზისების გამო და ასე კავკასიის საკითხები ირკვეოდა მრავალ-გაზეთების სტატიებში, ნაწერებში და წიგნაკებში.

(შემდეგი იქნება)

## უკრაინა.

მოხერხებულ, ეროვნულად მომზადებულ ერებს იმ თავიდანვე რუსეთის რევოლუციიდან საწყვაული გაქონდათ რევოლუციამ დააგვირგვინა სრული გამოყოფა პოლონეთისა და ფინეთისა, რაიც დიდ ხნის ნატვრა-მიზანი იყო პოლონეთ-ფინეთის.

იმ დროს როდესაც რუსეთის რევოლუციამ „ბოლშევიკური" სახე მიიღო, უკრაინა ანუ მოლოროსია მთლად გაცალკევდა რუსეთისგან და გერმანელების დახმარებით საკუთარ სახელმწიფოს შენებას შეუდგა. გერმანულ ჯარის მოშველებით უკრაინამ გამოერეკა უკრაინიდან ბოლშევიკურ რუსეთის წითელი გვარდიელები და რუსებს უკრაინაში შესავალი კარები ჩაუკეტა. სახალხო კომისართა მთავრობამ ქედი მოიხარა ძალის წინაშე და უკრაინასთან მშვიდობიანობის დამამყარებელი მოლაპარაკება დაიწყო. რუსეთისაგან გასვლის პირველ მომენტში უკრაინას ეგრედ წოდებული რადა მთავრობობდა. რომელიც პარტიულად შერეულ შემადგენლობის იყო... რუსეთის უღლის საბოლოოთ მოშორების შემდგომ ეს რევოლუციური მთავრობა დაშალეს და მის მაგიერად შეადგინეს ლიბერალური მთავრობა. (ბურჟაზიულ ელემენტების უმრავლესობით) ამის მერე მოხდა უკრაინის მიწის მფლობელთა და მიწადმომქმედთა მრავალრიცხოვანი ყრილობა. ყრილობამ უმთავრეს მოთხოვნილებად წარმოადგინა კერძო საკუთრების ხელუხლებლობა და თან გამოამჟღავნა თავის კონსერვატორული სულის კვეთება. შემდგომ ამისა დაითხოვეს რადის მოადგილე ლიბერალური მთავრობა და აღადგინეს „გეტმანობა", იგივე მეფობა, რომელიც სამასი წლის წინად უკრაინის ერის სუვერენობის წართმევის დროს რუსეთმა გააუქმა. მეტმანად აღიარებულია პოლკოვნიკი სკოროპადსკი. უკრაინის დამოუკიდებლობა სოციალისტების მეთაურობით მოხდა, ახლა კი უკრაინა თვითმპყრობელურ ცხოვრების ხანაში შევიდა. რად მოხდა ასე, ამის პასუხის გაცემას ჩვენ არ ვკისრულობთ მხოლოდ ვიტყვით შემდეგს: ქვეყნის მართვა გამგეობა როდია დამყარებული პროგრამულ პარტიულ მრწამსზე წინასწარ ნაშენზე, იგი სავსებით დამოკიდებულია ქვეყნის ამდროის თუ იმ დროის ობიექტურ და სუბიექტიურ პირობებზე.

ამ თვალთახედვით უნდა განვიხილოთ უკრაინის დღევანდელი სულის კვეთება.

ირა.

## ტრამვაის საკითხი

ტრამვაი ეკუთნის ისეთ მუნიციპალურ სამრეწველო წარმოებას, რომელსაც უწოდებენ სპეციალურ ლიტერატურაში „მონოპოლიი de facto"—ს. ე. ი. ტრამვაის არ უნდა გახდეს თავისუფალ კონკურენციის ხელში სათამაშოდ, არამედ უნდა შენდებოდეს მონოპოლურ სარგებლობით. მონოპოლიის ხასიათი სარგებლობისა გამომდინარეობას თვით მის ბუნებიდან, ვინაიდან ტრამვაის გაშენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ კი ნებადართულია რომ ისარგებლოს საზოგადოების ქონებით ე. ი. ქალაქის ქუჩებით და მოედნებით.

თუ კი უკანასკნელი პირობა ქალაქის თვითმართველობის მხრივ შეზღუდული იქნება, (ე. ი. სარგებლობა) იმ შემთხვევაში მწარმოებელი ვერ მოქმედობს ისე, როგორც მას უნდა. ქალაქის თვითმართველობის იურიდიული და ზნეობრივი მოვალეობა არის, რომ მოაწესრიგოს ქალაქში ქუჩების განათება, კანალიზაცია, წყალსადენი და მოფინოს ქუჩები და მოედნები ტრამვაის რკინის გზით, ვინაიდან ყოველივე ზემოხსენებულში განუსაზღვრელი უფლება აქვს მინიჭებული.

ზემოთ მოყვანილი უფლებები შეუძლია განახორციელოს თვითმართებლობებმა.

**სამნაირი** გზით: პირველი კონცესიის საშვალებით ე. ი. ამერიკულ სისტემით;

მეორე. იჯარით გაცემით მწარმოებელთან მოლაპარაკებით ე. ე. გერმანული სისტემით და მესამე ოჯახური წარმოობით—ინგლისის სისტემით. რასაკვირველია, ტრამვაის ლიანდაგის განვითარება სავსებით დამოკიდებულია იმ ეკონომიურ ზრდაზე და მეორე ხარისხოვან პირობებზე, როგორიც არის მაგალითად:

**სავაჭრო—სამრეწველო** მდებარეობა ქალაქში, **ბინის საკითხი, მუშების მატერიალურათ** დაკმაყოფილება და სხვა.. მაგრამ თითქმის ყველა სავაჭრო სამრეწველო ანუ ადმინისტრატიულ ცენტრებში შეიძლება ჰქონდეს ადგილი შემდეგ მოვლენას:

ტრამვაის გაშენება ყოველთვის არაა გამოწვეული ხალხის სურვილების დასაკმაყოფილებლად ე. ი. მიმოსვლისთვის, არამედ ხდება ისედაც, რომ ტრამვაის გაშენება იწვევს ზემოხსენებულ მოვლენას. ეს ხდება იმ შემთხვევაში თუ ქალაქის თვითმართველობები ბინის უმწვეო საკითხის გადასაჭრელად აშენებს ახალ ტრამვაის ლიანდაგს; არა მხოლოდ სადაც მჭიდროდ არის დასახლებული, არამედ სულ თავისუფალ და ხშირადაც ტიტველ ადგილებშიაც. აი სწორეთ შემთხვევაში ტრამვაის გაყვანას მოსდევს შედეგი რომელიც გამოიხატება ადგილებში ხალხს დასახლებით. მაგრამ ასე არ ხდება ყველგან: ის დამოკიდებულია უმთავრესად ბინის საკითხზე და თუ რამდენად მეყაითია ადგილობრივი მცხოვრებლები (ახლად დასახლებული, თუ ძალიან მწვავეა ბინისაკითხი და მასთან მოსახლეობაც მეყაითია, ნაწილი მცხოვრებლებისა (რასაკვირველია ღარიბები) შორდება ცენტრს და სახლდება იქ, სადაც ჯერ კიდევ არ აწეულა მიწის ფასი.

ამ რიგად ეძლევა საშუალება ფართო მასა დასახლდეს იაფ მიწაზე და ამით ტრამვაის მუშაობაც გაძლიერდეს ახალგაშენებულ გზაზე. მაგრამ რა ჩქარი ტემპით არ უნდა მოხდეს დასახლება ქალაქს გარედ მდებარე ადგილებისა, რომელიც შეერთებული იქნება ცენტრთან, იმ გზის გამშენებელმა იქნება ის მუნიციპალიტეტი, კონცესიონერი ანუ მოიჯარადრე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ახლად გაშენებული გზა მისცემს პირველ ხანებში მხოლოდ ზარალს და არა მოგებას. ისეთი წინდახედული სახელმწიფო, როგორიც არის ინგლისი, იქაც კი ემჩნევა ზემოხსენებული მოვლენა (პირველ წლებში წაგება), მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ უნდა აშინებდეს მწარმოებელს იმ მოვლენის გამონაკლისისათვის როგორიც არის გაკოტრება და არ ნდობა. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ბინის უმწეო საკითხს გადასაწყვეტად ტრამვაის გაშენება უნდა იკისროს უსათუოდ ქალაქის თვითმართველობამ და არა სხვამ. ეს გარემოება მისცემს ქალაქის ცენტრის მცხოვრებლებს იცხოვროს ქალაქ გარედ კარგ ეკონომიურ და გიგიენურ პირობებში. თუ ასეთი მიზანი განხორციელებულ იქმნა, მაშინ მცხოვრებლები გადიან ცენტრიდან განაპიროებზე, ქალაქ გარეთაც, თუ რასაკვირველია ამ გარემოებას ხელს უწყობს დღიური მუშის ქირა, (ფასი) რომელიც შეესაბამება ტრამვაიზე გადასაყვან ქირას. ამნაირად, თუ რომელიმე ქალაქის მუშას ყოველი დღიური ქირა უდრის საშუალო ფასს და [illegible], მაგალითად ათ მაურს და ტრამვაიზე კი უნდა [illegible] შაური, [illegible] და ტრამვაის ვაგონები ივლის ცარიელი იმ დრომდის, სანამ [illegible] იმ ზომამდი, რომ [illegible] არ იქნება ძნელი მცხოვრებლებისათვის.

აი სწორეთ, ზემოხსენებულის მოვლენის ასაშორებლათ არის დაარსებული კულტურულ ქვეყნების ქალაქებში **შეღავათიანი ბილეთები.** მაგალითად პარიზში. არსებობს ერთ კვირეული, თვიური და წლიური შეღავათიანი ბილეთები იმ პირთათვის რომელნიც ცხოვრობენ ქალაქს გარედ და ეწევიან ფიზიკურ შრომას, ან და მსახურებენ სხვადასხვა სახელმწიფოს დაწესებულებების კანცელარიაში და ღებულობენ ჯამაგირს არა ნაკლებ ორი-სამი ათას მანეთისა.

ასეთ ბილეთების პატრონები გამოდიან თავიანთ ბინიდან დილის $7\frac{1}{2}$—8 საათამდის, ბილეთებში იხდიან $3\frac{1}{2}$ კაპ. ერთ მგზავრობაზე (ე. ი. აქეთ იქით), იმ დროს როცა ჩვეულებრივი მგზავრები კი იხდიან ათჯერ და თუთხმეტჯერ მეტს. უმთავრესად კი შეღავათიანი ბილეთების შემომღებნი არიან კონცესიონერები, ვინაიდან ამით ხელს უწყობენ მცხოვრებლებს დასახლდენ ქალაქ გარედ და ამით გააძლიეროს ტრამვაის მუშაობა, რაიც ძალიან მოგებას მისცემს და ანაზღაურებს იმ ზარალს, რომელიც მან ნახა პირველ წლებში.

ნიკოლოზ ახვლედიანი.

## კორესპონდენცია.

**ტყიბული.** გუშინ ტყიბულშირკ. გ. მილიციელს კერძო ინტერესის გამო აყალ მაყალი შედგა ერთ პირთან. ის პირი, რომელსაც მილიციელი აუხირდა სრულიად უდანაშაულო იყო. მიუხედავად ამისა მილიციელმა რევოლვერი დაუმიზნა შეჯგუფებულ ხალხში მდგომარეს, სადაც ერთი ტყვია ხუთ ექვს კაცს მოჰკლავდა. მილიციელისგან ათვალისწუნებული კაცი გულზე ხელ დაკრეფული იყო და ხმასაც არ იღებდა. ამ ამბავზე მივარდა ოთხი მილიციელი და სულ თოფის კონდახებით გაიკაფეს გზა, სრულიად უდანაშაულო ხალხს შეურაცყოფა მიაყენეს. მადლობა ღმერთს საქმე უმსხვერპლოდ დაბოლოვდა. ამავე მილიციელებმა ხრესილში ერთ მოხუცს კაცს სცემეს იმიტომ, რომ საბრალოს მარწყვი მოეტანა კალათით და მილიციელისათვსე ორ მანეთად არ მიეყიდა.

საჭიროა მთავრობამ ზოგიერთ მილიციელის თავგასულობა და თვითნებობა ალაგმოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხში მმართველობას სახელი გაუტყდება და გულ უბრყვილო ხალხი ახალ წესწყობილებაზე იმედს გადიწყვეტს.

ბაჭუა.

**დიდი ჯიხაიში.** ოთხშაბათს 29 მაისს დიდი ჯიხაიში მოხდა კრება. კრების საგანს შეადგენდა მობილიზაციის საკითხი. ხალხი კრებას ბევრი დაესწრო და ერთხმად ჯარში წასვლა მოითხოვა. ორ.-თა სიტყვებმა მოხუცებულებიც კი ააღელვა და ჯარში წასვლა მოისურვეს, წამსვლელთა რიცხვი 600 კაცს აღემატება. აღსანიშნავია ის რომ ტყვეობიდგან დაბრუნებული ჯარის კაცები, რომლებიც უწინ ბოლშევიკებად აღიარებდენ თავის თავს და ომს გულგრილად უყურებდენ დღეს სულ ყველაზედ წინ ესენი მიდიან და წესრიგის შეტანას ჯარში პრველად ესენი მოითხოვენ. ასე მიდის მობილიზაციის საქმე დიდი ჯიხაიში და მის ახლომახლო სოფლებში, რომელთაც კარგად შეიგნეს მტრის ულმობელობა და სისასტიკე. საჭიროა მთავრობის მიერ ზომები იქნეს მიღებული სხვა ადგილებშიაც რომ ასეთი აღფრთოვანება ჯარის არ დასცხრეს და რუსულ წესით ესენიც არ დაავად მყოფდენ.

დ. კ.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი, ქუთაისში